

## „ღამის ასტროტურის“ მომსახურების ფარგლები 2026 წელი

მომსახურება მოიცავს:

1. **40 სმ-იანი ტელესკოპის დათვალიერებას**, რა დროსაც ვიზიტორი გაეცნობა ობსერვატორიის დაარსების ისტორიას, ერთ-ერთ უძველეს პროფესიონალურ ტელესკოპს - „40 სმ-იან რეფრაქტორს“ და მისი ასტრონომიული კომპლექსის კონსტრუქციას, ციურ სხეულებზე დაკვირვების პრინციპებს და მათ თავისებურებებს, „40 სმ-იან რეფრაქტორის“ შენობა, რომელშიც ის არის განთავსებული ატარებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს;
2. **ცის დათვალიერებას:**
  - 2.1. მოწმენდილი ცის შემთხვევაში - ვიზიტორს საშუალება აქვს ტელესკოპის გამოყენებითა და უფლებამოსილი პირის დახმარებით იხილოს სხვადასხვა საინტერესო ციური ობიექტები, ვიზიტის პერიოდში მნათობთა ხილვადობის შესაბამისად;
  - 2.2. მოდრულული ცის შემთხვევაში - ვიზიტორს საშუალება აქვს დაათვალიეროს სადემონსტრაციო დარბაზი, რა დროსაც იგი გაეცნობა ობსერვატორიის დაარსების ისტორიას, ქართული ასტრონომიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს და მოვლენებს, დღევანდელობას და პერსპექტივებს. ეწვევა ობსერვატორიის დამაარსებლის, აკად. ევგენი ხარაძისა და პროფ. მიხეილ ვაშაკიძის კაბინეტებს.

მომსახურების ადგილი: 40 სმ-იანი რეფრაქტორის შენობა, მთა ყანობილი (დაბა აბასთუმანი)

მომსახურების გაწევაზე უფლებამოსილი პირი: საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის თანამშრომელი, კერძოდ, ასტრო-გიდი.

ხანგრძლივობა: 50-80 წთ.